

გ. თავდგირიძე, ნ. ფალავა, 6. ფალავანდიშვილი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**აზოტოვანი სასუბჰის ფორმების გავლენა ციტოსინების გიოგიმიურ  
მაჩვენებლებზე აჟარის აირობები**

აჟარის მეციტოუსეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს მანდარინს, რომლის ნაყოფები ხასიათდებიან კებელით, სამქურნალო და ღიეტური თვისებებით. შეიცავენ ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელ ნივთიერებებს. ციტოუსების კვების პირობები განსაზღვრავს ნაყოფის ხარისხსა და ქიმიურ შედგენილობას. საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში ძირითადად წითელმიწა ნიადაგებია. წითელმიწა ნიადაგებში მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს ორგანული ნივთიერებების მინერალიზაცია და უხევი ნალექების გამო ადგილი აქვს საკვები ელემენტების გამოტანა-გადატანას. ეს ნიადაგები ხასიათდებიან დაბალი ნაყოფიერებით.

შევისწავლეთ აზოტოვანი სასუქების სახვადასხვა ფორმების გავლენა მანდარინის ბიოქიმიურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. აზოტოვანი სასუქებიდან გამოყენებული იყო ამონიუმის გვარჯილა, შარდოვანა, შარდოვანა ფორმალდეპილური სასუქე -შ.ფ.ს. (აზოტი -1-2 დოზა) და სულფატამონიუმი. ამ სასუქების ფორმებიდან აჟარის წითელმიწა ნიადაგებისათვის საუკეთესოა შარდოვანა. იგი ადგილად იხსნება ნიადაგში, გადადის ამონიუმის კარბონატში და ხასიათდება ნიადაგის მჟავიანობის დაწევის უნარით. შ.ფ.ს. კი არ გამოირეცხება ნიადაგიდან, და განსაკუთრებით ეფექტურია უხევტენიან ლანდშაფტებში, შესაძლებელია მისი მაღალი დოზებით გამოყენება და შედეგად ნიადაგის უზრუნველყოფა აზოტით რამდენიმე წლის განმავლობაში. მანდარინის ნაყოფების საგამოვნო თვისებები დიდად არის დამოკიდებული მასში ორგანული მჟავეების, შაქრებისა და ვიტამინ C-ს შემცველობაზე. კვლევის შედეგები მოყვანილია პირველ ცხრილში.

**ცხრილი 1. აზოტოვანი სასუქების ფორმების გავლენა მანდარინის ნაყოფის  
ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე**

ცდის ვარიანტები	მჟავიანობა, 100 მლ/მგ			შაქრების შემცვ. მგ/ 100მლ	ვიტამინ C შემცვ. მგ/100 მლ წენზე
	ტიტოული მჟავიანობა	მშრალი მასა	pH		
ამონიუმის გვარჯილა	0,95	9,8	3,34	6,77	40,0
შარდოვანა	0,74	10,0	3,34	7,23	41,3
შ.ფ.ს N- 1 დოზა	0,94	10,3	3,36	7,09	39,6
შ.ფ.ს N- 2 დოზა	1,21	10,1	3,34	7,18	40,9
ამონიუმის სულფატი	1,02	10,1	3,29	6,63	44,5

პირველი ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ მანდარინის ნაყოფებში ტიტოული მჟავიანობა და მშრალი მასის შემცველობა მაღალია შ.ფ.ს. N-1 დოზისა და N- 2 დოზის შემთხვევაში. შაქრების შემცველობა მეტია შარდოვანასა და შ.ფ.ს. N-1 დოზისა და N-2 დოზის პირობებში. ვიტამინ C-ს შემცველობა მაღალია შარდოვანასა და ამონიუმის სულფატის ვარიანტში. მანდარინის ნაყოფები ხასიათდებიან თავისუფალი ამინომჟავეების მაღალი შემცველობით (ცხრილი 2).

მეორე ცხრილიდან ჩანს, რომ აზოტოვანი სასუქები გავლენას ახდენენ ნაყოფებში თავისუფალი ამინომჟავეების დაგროვებაზე. გამონაკლის წარმოადგენს შარდოვანა. ნაყოფები არ შეიცავენ შემდეგ ამინომჟავეებს: ასპარაგინს, ციტრილინს, ნ-ალანინოერბომჟავას, ტრიფტოფანს უველა აზოტოვან ფორმაზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ნაყოფებში თავისუფალი ამინომჟავეების შემცველობა მაღალია. მანდარინის ნაყოფებში შეინიშნება ასპარადინის, გლუტამინის და ალანინის დომინირება სხვა ამინომჟავეებთან შედარებით.

ცხრილი 2. თავისუფალი ამინომჟავეების შემცველობა მანდარინის ნაყოფებში (მგ%-ში გშრალი მასიდან)

ამონიუმჟავეების დასახელება	აზოტოვანი სასუქების ფორმები				
	ამონიუმის გვარჯილა	შარდოვანა	შუს N-1 დოზა	შუს N-2 დოზა	ამონიუმის სულფატი
ასპარაგინის მჟავა	74,55	20,20	53,58	67,09	46,05
ფოსფოსერინი	12,45	9,68	18,98	11,12	18,23
თრეონინი*	10,87	3,03	8,48	11,58	5,96
სერინი	59,94	15,48	41,07	65,75	31,19
გლუტამინის მჟავა	34,23	11,46	26,05	29,73	24,33
გლუტამინი	1,23	0	0,71	0,93	0,62
კროლინი	129,64	7,10	47,0	107,42	29,63
გლიცინი	20,25	7,0	18,0	17,64	11,11
ალანინი	75,92	11,20	44,37	68,62	30,37
ციტროლინი	0	0	0	0	0
ვალინი*	6,81	1,54	5,63	6,33	2,92
ცისტინი	1,28	0	0,68	0,85	0,64
მეთიონინი*	0,59	0	0,60	0,45	0,30
იზოლეიცინი*	1,05	0,39	1,38	1,05	0,35
თიროზინი	1,84	0,98		1,47	1,85
В-ალანინი	0	0	0	0	0
ლეიცინი*	2,27	0,62	2,18	1,51	0,95
ფენიალანინი*	1,68	1,08	1,29	1,68	1,01
ჭ-ამონოერბომჟავა	67,7	8,83	47,67	75,0	23,11
ორნიტინი	2,46	0,2,5	1,5	1,14	0,95
ლიზინი*	2,97	0,53	1,94	2,12	0,85
ჰისტიდინი	0,62	0,17	0,42	0,52	0,41
ტრიუტოფანი*	0	0	0	0	0
არგინინი	2,84	0,33	1,05	1,77	1,08
ჯამი	511,19	99,54	332,92	472,38	229,6

შენიშვნა: \* - შეუცვლელი ამინომჟავები

შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ თავისუფალი ამიაკის რეზერვირება ნაყოფში მიმდინარეობს ამ ამინომჟავების მონაწილეობით. ესე იგი აზოტის პირველადი პროდუქტების ასიმილაციით მცენარეში. "შეუცვლელი ამინომჟავები" განსაზღვრავენ ციტრუსების ნაყოფების კვებით ლირებულებას.

G. Tavdgiiridze, N. Paghava, N. Falavandishvili  
Sh. Rustaveli Batumi State University

### Influence Forms of Nitrogenous Fertilizers on Biochemical Indices of Citrus in Ajara Conditions Summary

Influence forms of nitrogenous fertilizers on biochemical and qualitative indices of mandarin in humid conditions of subtropical landscape of Ajara is studied. New data of mandarin fruit aminoacid composition is studied in relation to forms of nitrogenous fertilizers

Г. Тавдгиридзе, Н. Пагава, Н. Палавандишвили  
Батумский государственный университет им. Ш. Руставели

### Влияние форм азотных удобрений на биохимические показатели цитрусовых в условиях Аджарии

#### Резюме

Изучено влияние форм азотных удобрений на биохимические и качественные показатели мандарина в условиях влажного субтропического ландшафта. Получены новые данные по аминокислотному составу плодов мандарина в зависимости от форм азотных удобрений.